

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აგვისტო 2018 წელი

ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ჯავახეთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის
გიორგი მელიქიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) სამგორის რაიონში, ჯავახეთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს გიორგი მელიქიშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



X=488980.6 Y=4615891.7

ვიზუალური მდებარეობის ქ.

X=488842.7 Y=4616263.6

X=488789.7 Y=4616353.1

X=489177.8 Y=4615905.7





KA011709228004918

: 0114 . #2; www.napr.gov.ge;

: 2 405 405; 08 009 009 09

127550

16 /

/ 2018 .

:

N2

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2018 წლის 9 მარტს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს N M18004910 განცხადებით მომართა მოქალაქე ივერი ფოლადაშვილმა (პ/ნ:12001044772), რომლითაც მოითხოვა საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტში მისამართის დაზუსტება შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, ქუჩა ჯავახეთი, ნაკვეთი 12/026 (საკადასტრო კოდით N01.19.36.012.026).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N01.19.36.012.026) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 20² მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი 1 გვერდი

პატივისცემით,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

0108 თბილისი, რუსთაველის პროსპ. 52
დებუებისათვის: თბილისი 8, მეცნიერება
ტელ./ფაქსი: 299-00-52; 299-88-91
ელ. ფოსტა: kancelaria@science.org.ge



“29” 11 2017 წ.
№ 010107-465/559
თქვ. №

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბ-ნ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, მსოფლიო მნიშვნელობის გამოჩენილმა მეცნიერმა გიორგი მელიქიშვილმა უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოსა და მსოფლიოში ისტორიული მეცნიერების განვითარების დარგში. იგი ქართული ძველადმოსავლეთმცოდნეობის (ურარტოლოგიის) სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელია, მეცნიერების დარგში ლენინური პრემიის პირველი ლაურეატი (1957 წ.), ივანე ჯავახიშვილისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ისტორიკოსთა რამდენიმე თაობის აღმზრდელი, საზოგადო მოღვაწე. იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ამავე ინსტიტუტის ძველი მსოფლიო ისტორიის განყოფილების დამფუძნებელი, მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აფასებს რა აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის ღვაწლსა და დამსახურებას ქვეყნის წინაშე, მოგმართავთ თხოვნით, რათა მეცნიერის სახელის უკვდავსაყოფად თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მისი სახელი.


ღ.დ.

პატივისცემით,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად.

რ. მეტრეველი

რ. მეტრეველი



Jim 3

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

0108 თბილისი, რუსთაველის პროსპ. 52
დეპეშებისათვის: თბილისი 8, მეცნიერება
ტელ./ფაქსი: +(995 32) 299-00-52
 +(995 32) 299-88-91
ელ. ფოსტა: kancelaria@science.org.ge
 academy@science.org.ge



“ 05 ” 07 2018 წ.
№ 010107-465/289
თქვ. № _____

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს გ. ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

შეგახსენებთ, რომ 2017 წლის 4 ოქტომბერს და 2017 წლის 29 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართა თხოვნით ქალაქის ქუჩებისათვის მსოფლიოში აღიარებული ორი მეცნიერის, აკადემიკოსების - პალეობიოლოგი ლეონიდე (ლეო) გაბუნიასა და ისტორიკოს გიორგი მელიქიშვილის სახელის მინიჭების თაობაზე. ამ მეცნიერთა ღვაწლსა და დამსახურებაზე ინფორმაციით არ შეგაწუხებთ (აკადემიის წერილების ასლები თან ერთვის). აკად. გ. მელიქიშვილის თხოვნასთან დაკავშირებით მივიღეთ ინფორმაცია საკითხის 2018 წლის მარტში განხილვის შესახებ, თუმცა დღემდე პასუხი არ მიგვიღია. რაც შეეხება თხოვნას აკად. ლ. გაბუნიას სახელის ქუჩისათვის მინიჭების თაობაზე, პასუხი საერთოდ არ უცნობეობათ მეცნიერებათა აკადემიისათვის.

ბატონო გიორგი,

გთხოვთ გაეცნოთ არსებულ ვითარებას მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის თხოვნის თაობაზე და დააჩქაროთ საკითხის გადაწყვეტა.

ლეო ჯაფარიძე.

ვიცე-პრეზიდენტი

გ. ტყემალაძე

რ. მეტრეველი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

0108 თბილისი, რუსთაველის პროსპ. 52
დეპეშებისათვის: თბილისი 8, მეცნიერება
ტელ./ფაქსი: 299-00-52; 299-88-91
ელ. ფოსტა: kancelaria@science.org.ge



“29” 11 2017 წ.
№ 010107-465/559
თქვ. №

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბ-ნ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, მსოფლიო მნიშვნელობის გამოჩენილმა მეცნიერმა გიორგი მელიქიშვილმა უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოსა და მსოფლიოში ისტორიული მეცნიერების განვითარების დარგში. იგი ქართული ძველადმოსავლეთმცოდნეობის (ურარტოლოგიის) სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელია, მეცნიერების დარგში ლენინური პრემიის პირველი ლაურეატი (1957 წ.), ივანე ჯავახიშვილისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ისტორიკოსთა რამდენიმე თაობის აღმზრდელი, საზოგადო მოღვაწე. იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ამავე ინსტიტუტის ძველი მსოფლიო ისტორიის განყოფილების დამფუძნებელი, მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აფასებს რა აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის ღვაწლსა და დამსახურებას ქვეყნის წინაშე, მოგმართავთ თხოვნით, რათა მეცნიერის სახელის უკვდავსაყოფად თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მისი სახელი.

დ. ბ.


პატივისცემით,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად.

რ. მეტრეველი

რ. მეტრეველი

0107-465/960
29.12.17



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



წერილის ნომერი: 03-031736156

თარიღი: 27.12.2017

ადრესატი:

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

მისამართი: რუსთაველის პროსპექტი 52

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს საქმისწარმოება თქვენ 29
ნოემბრის 2017 წლის საქმე #04/031733366-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვთ
თბილისის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის სახელი.

გაცნობებთ, რომ კომისია მზად არის განიხილოს აღნიშნული საკითხი დაახლოებით
2018 წლის მარტის თვისთვის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო - სახელდებისა და
სიმბოლიკის კომისია - კომისიის
თავმჯდომარე

ნიბლოშვილი

თინათინ ნიბლოშვილი

16 დეკემბერი
გაგანი თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
27.12.2017

29.12.17 7-465/960



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



წერილის ნომერი: **03-031808291**

თარიღი: **23.03.2018**

ადრესატი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

ასლი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
მისამართი: წმ. ნიკოლოზის / ნ. ჩხეიძის ქ.2

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს
ქალბატონ რუსუდან მირზიკაშვილს
ასლი: სამისამართო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ ნინო ბახიას

გაცნობებით, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს
ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბახიას 2018 წლის 19 მარტის საქმე #04-03180781-
03 დაკავშირებით, რომლითაც მოქალაქე ივერი ფოლადაშვილის N M18004910
განცხადების საფუძველზე ითხოვს უსახელო ქუჩის სახელდებას
(ს.კ.01.19.36.012.026).

როგორც მოგეხსენებათ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ
საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების
შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-
59 დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია
სახელდების შესახებ დაყენებულ ინიციატივას დაურთოს ქ. თბილისის
მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან (სსიპ-ქ. თბილისის
მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური) მოპოვებული გეოგრაფიული ობიექტის
აღმნიშვნელი კარტოგრაფიული მასალა XY კოორდინატების მითითებით WGS-84
კოორდინატთა სისტემაში. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ
ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული
ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.

მოგმართავთ თხოვნით, ნახაზი მოამზადოთ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს
მიერ მომზადებული ნახაზის შესაბამისად (იხილეთ დანართი).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო - სახელდებისა და
სიმბოლიკის კომისია - კომისიის
თავმჯდომარე

თ. ნიბლოშვილი

თინათინ ნიბლოშვილი



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



წერილის ნომერი: 03-031808935
თარიღი: 30/03/2018

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს
ქალბატონ რუსუდან მირზიკაშვილს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბახიას 2018 წლის 19 მარტის საქმე #04-03180781-03 დაკავშირებით, რომლითაც მოქალაქე ივერი ფოლადაშვილის N M18004910 განცხადების საფუძველზე ითხოვს უსახელო ქუჩის სახელდებას (ს.კ.01.19.36.012.026).

როგორც მოგეხსენებათ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14- 59 დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია სახელდების შესახებ დაყენებულ ინიციატივას დაურთოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან მოპოვებული გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი კარტოგრაფიული მასალა XY კოორდინატების მითითებით WGS-84 კოორდინატთა სისტემაში. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.

მოგმართავთ თხოვნით, ნახაზი მოამზადოთ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ნახაზის შესაბამისად (იხილეთ დანართი).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა
და სიმბოლიკის კომისია-კომისიის თავმჯდომარე

თ. ნიბლოშვილი

თინათინ
ნიბლოშვილი



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ურბანული განვითარების
საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 67-01181011146

თარიღი: 11.04.2018

ადრესატი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის: თავისუფლების #2

ტელ: +995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 30.03.2018 წლის #03-031808935 (30.03.2018წ. #06-01180891365-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით.

ურბანული განვითარების საქალაქო
სამსახური - პირველადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო
სამსახურის უფროსი)

რუსუდან მირზიკაშვილი